

ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით კვების პროდუქტების შესყიდვაზე

საჩხერა
2011 წელი

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის	3
2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები	5
2. შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების პირობები	6
3. ტექნიკური პირობები	7
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	8
5. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია	13
7. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ	13
8. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	14
9 დანართი №2 საბავშვო ბაღის განყოფილებების მისამართები.....	15
10 დანართი №3 ფასების ცხრილის ფორმა	16

ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ შესაბამისად.
- 1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხარტ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი #1.
- 1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
- 1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
- 1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- 1.6 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.
- 1.7 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.
- 1.8 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
- 1.9 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 1.10 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
- 1.11 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
- 1.12 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
- 1.13 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.
- 1.14 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.
- 1.15 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
- 1.16 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი

1.17 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.18 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.19 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.20 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.21 ამ პუნქტის 1.20 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.22 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით,

აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.23 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოსნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.24 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.25 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.26 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.27 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ცნობას, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოდან ნასამართლეობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

1.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან).

შენიშვნა (1): პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები (დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები) უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების თარიღს.

2. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ „პრეტენდენტის“ დისკვალიფიკაცია.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში აიტვირთება ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

**შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა
და მიწოდების პირობები**

№	მისაწოდებელი საქონლის დასახელება	კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ბრინჯი	0.3211300	კბ.	721	1300	19.09-23.12	ა.ი.პ. „სანხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ 12 განყოფილება
2	წიწიბურა	0.3211900	კბ.	217	980	19.09-23.12	„—————“
3	ხახვი	0.3221110	კბ.	253	460	19.09-23.12	„—————“
4	კარტოფილი	0.3212100	კბ.	2163	2600	19.09-23.12	„—————“
5	ნიორი	0.3221120	კბ.	44	440	19.09-23.12	„—————“
6	სტაფილო	0.3221110	კბ.	73	120	19.09-23.12	„—————“
7	ღობიო	0.3221210	კბ.	433	1605	19.09-23.12	„—————“
8	ჭარხალი	0.3221110	კბ.	145	235	19.09-23.12	„—————“
9	კომბოსტო	0.3221410	კბ.	361	365	19.09-23.12	„—————“

ტექნიკური პირობები

3.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე უნდა წარმოადგინოს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები ან ტექნიკური კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი საინსპექციო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობა და ანგარიში განხორციელებული ტექნიკური კონტროლის შესახებ.

3.2 მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს შეფუთული ან დაფასოებული, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს პროდუქტის ხარისხის და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

3.3 კვების პროდუქტების შენახვისას და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(პ რ ო ე ქ ტ ი)

ქ. საჩხერე

„----“ „-----“ 2011 წელი.

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის

-----სახით და მეორეს მხრივ,
----- (შემდგომში „მიმწოდებელი“),

მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, -----სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ----- (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტი მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარეხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს ----- (-----) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამოდეს ტექნიკურ პირობებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მისაწოდებელი კვების პროდუქტების ყოველკვირეული განაცხადის საფუძველზე.

5.2 ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი ვალდებულია განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს კვების პროდუქტები ქალაქისა და სოფლების 12 ობიექტს.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ

საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6.3 მიღება-ჩაბარება მოხდება ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ადგილზე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი სასაქონლო ზედნაღებისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა

მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

8.1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;

8.2.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით, ღირებულებითა და მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

8.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

8.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის

მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

8.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის

ასლები და ანგარიში;

8.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან

ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმდები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით დამტკიცებული პირობების დარღვევისათვის ჯარიმის სახით მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

14.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

15.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს - მაჟორი

16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

18.1 შემსყიდველს ან მის მიერ შექმნილ ინსპექტირების კომისიას უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

18.2 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

18.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის, რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

18.4 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. დასკვნითი დებულებანი

19.1 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.2 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

19.3 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

19.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 ივლისამდე.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“

მიმწოდებელი:

საიდენტიფიკაციო კოდი: 239396346

მის: ქ. საჩხერე თავისუფლების ქ.№4

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ლიბერთი ბანკის

საჩხერის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101467

ანგარიშის ნომერი: 02 0115124621690000

ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“

ხელმოწერა:

დირექტორი: _____

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარებში, დანართი №2-ის შესაბამისად (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით).
4. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

1. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

არინა ყაველაშვილი - სატენდერო აპარატის წევრი. მისამართზე: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ. №4, III სართული ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ ტელ: 8 435 22 10 79; 5 99 37 87 02;

ს ა ზ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი: _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)

სახელით,

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)
წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)
მის მიერ _____

- (ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)
შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:
1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
 2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
 3. ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
 4. ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
 5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
 - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
 6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გაგვცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას
(პრეტენდენტის რეკვიზიტები)
(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)
სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

**ა.ი.პ. „სახსერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“
განყოფილებების მისამართები**

№	დასახელება	მისამართი
1	სახსერის №1 განყოფილება	ქ. სახსერე, გორგასლის ქ. №6
2	სახსერის №2 განყოფილება	ქ. სახსერე, დურმიშოძის ქ. №54
3	სახსერის №3 განყოფილება	ქ. სახსერე, რუსთაველის ქ. №111
4	აკ. წერეთლის განყოფილება	ქ. სახსერე, თამარ მეფის ქ. №1
5	სოფ. სხვიტორის განყოფილება	სოფ. სხვიტორი
6	სოფ. სარეკის განყოფილება	სოფ. სარეკი
7	სოფ. საირხის განყოფილება	სოფ. საირხე
8	სოფ. სავანის განყოფილება	სოფ. სავანე
9	სოფ. მერჯვეის განყოფილება	სოფ. მერჯვეი
10	სოფ. ჩიხის განყოფილება	სოფ. ჩიხა
11	სოფ. არგვეთის განყოფილება	სოფ. არგვეთი
12	სოფ. ჭალის განყოფილება	სოფ. ჭალა

ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის მიხედვით)

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა კმ.	საერთო ფასი
1	ბრინჯი	721	1300
2	წიწიბურა	217	980
3	ხახვი	253	460
4	კარტოფილი	2163	2600
5	ნიორი	44	440
6	სტაფილო	73	120
7	ლობიო	433	1605
8	ჭარხალი	145	235
9	კომბოსტო	361	365

შენიშვნა(1): გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა);
2. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.